

უბარებალი

მართალი კაცისთვის თბილისი ყველაზე დიდი და საამაუო ქალაქია თვისი ორი ათასი ქუჩით, მოედნით, ჩიხითა და შესხვევით. თბილისი, ამავე დროს, ერის ათასწლოვანი ისტორიაა, მისი სიხარული და ცრემლები, გმირული წარსული, ლამაზი აწმყო და ნათელი მომავალი.

თბილისელმა ქართველ კაცს, პირველ ყოვლისა, იმეტომ ეამაყება, რომ ქალაქმა დიდი ქარ-ცეცხლი გამოიარა, ბევრი ტანჯვა-ვაება ნახა, მაგრამ ხულით მაინც ახალგაზრდა და უბერებელი დარჩა. თბილისი დღეს დიდი და თანამედროვე ქალაქია, თბილისელები კი ახალი და ლაღი ცხოვრების მშენებლები არიან.

ცხოვრება — სახლისა, როცა შენი ქალაქი ვიუვარს, როცა პატავს ცემ თანაქალაქელებს, როცა ხიამაყის გრძობით მიუძღვები ჩამოსულ სტუმარს ძველი და ახალი ქალაქის უბნებში. მაშინ ათქერ მეტად მოგწონს იგი, ვინაიდან მის ყოველდღიურობას, მის ხალხს, ადათ-წესებსა და ტრადიციას უცხო კაცის თვლით უყურებ.

თბილისზე ამბობენ, რომანტიკული ქალაქიაო. იგი მართლაც იყო და არის ასეთი, მაგრამ თბილისი, ამავე დროს, თანამედროვე ცხოვრების რიტმსა და დერსულში ჩაბმული ქალაქიცაა, რომელმაც თამამად შეითვისა დღევანდელი ცხოვრების წესი და მომავლისკენ თამამად იწინარება.

თბილისი ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურის მთავარი ქალაქია, თბილისური ჩარხები და მანქანები მსოფლიოს ხხვადახხვა ქვეყნებში გუგუნებენ. იხე იგი, თბილისი რესპუბლიკის მძღვარი სამრწველო ცენტრიცაა.

თბილისი სპორტშიც გამორჩეული ქალაქია. პირველი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი ხაბტოთა სპორტსმენებიდან თბილისელმა ქალმა დაამყარა. პირველი ოლიმპიური ჩემპიონისა და პირველი მსოფლიო ჩემპიონის სახელი ქიდაობაში თბილისელმა ფალანგებმა დაიხაკურთხა.

თბილისის უბნებში გავრდილი ბიჭები და გოგონები ხხვადახხვა დროს ყველა უმაღლეს სპორტულ ტიტულს ფლობდნენ...

საბჭოთა კავშირის ხალხთა ბოლო სპარტაკიადაზე საქართველოს დღევანდელის საერთო წარმატებაში ღმობის წილი სწორედ თბილისის, ჩვენი დედაქალაქის სპორტსმენებს მიუძღვით. ამ წარმატებით თბილისელები, ცხადია, ამაყობენ, მაგრამ როგორ გინდა შეურთავდე მსოფლიო ამ გამარჯვებას, როცა მკლავი და მუხლი გერჩის, როცა გული მსოფლიო წარმატებებისკენ მივიწყებს.

ახალი წარმატებებისკენ მივიწყებს. თბილისელები ასე ფიქრობენ და ეს, ალბათ სწორიც არის, — ის, რასაც სპორტში აქამდე მივაღწიეთ, კარგია, მაგრამ ქართველ კაცს მიღწეულით დაშფოვდება არ სჩვევია. იგი ოდითგან მებრძოლი იყო და მუდამ ახალ მიღწევებზე, ახალ წარმატებებზე ოცნებობდა. ეს ოცნება აძლიერებდა მას, მარად უახალგაზრდავებდა სულს. თბილისქალაქობა ხომ მემკვიდრეობითობის უკვდავებაა, ძველისა და ახლის, წარსულისა და აწმყოს, ბედნიერი მომავლის წივიწივი.

ცხოვრება წინ მიდის და თბილისიც მომავლის გეგმებს ხახავს. ამ გეგმების განსორციელება თბილისელთა შნოხა და მარფათზე, გარჯახა და უნარზეა დამოკიდებული.

კვლავაც ნუ მოკვლებოდეს დიდება და პატივი ჩვენი დედაქალაქი!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 206 (2867) 26 თებერვალი, 1934 წ. კვირა, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • ზანი 8 კაპ.

პირველი წარმატება ვაჟებს მიუძღვნა

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელი ბევრ გუნდს შეუძრდებოდა იმდენი მაყურებელი, რამდენმაც გუნდს თბილისის სპორტის სასახლეში მოიყარა თავი. აქ იყო ყველაფერი, რაც ქვეყნის სპორტულ დღესასწაულს შეეფერება: თავგამოდებული ქომოგობა, გამაზმბნეველები შეძახილები, ტრანსპარანტები, წარმოდგინეთ სასულე ორკესტრიც კი და, რაც მთავარია, ტემპერამენტის ლამაზი ფეხბურთი.

მინიფეხბურთში თბილისის უბნების ჩემპიონატი დაავიკრავინა ფინალურმა მატჩმა, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ვერის და ვაკის გუნდები. ეს გახლდათ ღირსეულ მეტოქეთა მატჩი, მან დაამტკიცა, რომ ფინალში თამაშის უფლება ნამდვილად საუკეთესო გუნდებმა მოიპოვეს.

ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა ვერელთა კაპიტანმა ნოდარ გიგოლაშვილმა და ვერელ ქომოგობანაკში გამაყრუებელი ყვირისა გა-

ისმა. ექვსი წუთიც არ იყო გასული, რომ ახლა ვაკელთა ზეიმის ჯერი დადგა: ლამაზი კომბინაციის შედეგად ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა ირაკლი ქვეთარაძემ წინასწარობა აღადგინა — 1:1. მეორე ტაიმში მღგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა, მაგრამ თამაშის დრო რომ ამოიწურა ტაბლოზე ისევ 1:1 ენოო. ამის შემდეგ შეხვედრის არბიტრმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა რევაზ ძიძუაშვილმა დებულმა მოთქმულია და პენალტების სერია დაიწინა.

ვაკელებს უფრო მტკიცე ნერვებში აღმოაჩნდათ და სწორედ ამან გადაწყვიტა მთავარი ჯილდოს ბედი. მეტოქეები რაინდულად დაშორდნენ ერთმანეთს. საერთო ანგარიშით 5:2 გაიმარჯვა ვაკის გუნდმა. მესამე ადგილზე გვიდნენ ორთაქალელები, რომლებმაც ასევე პენალტების სერიით სძლიეს დიდმის ხაკრებს.

ვაჟებსა-ინფორმაცია

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ საქართველოს სპორტსახკომში განახლდა შეხვედრები სარეზერვო გუნდებთან. ამ დღეებში შეხვედრაზე მოიწვიეს პერსპექტიული აკრობატები და ველოსპორტსმენები, მათი მწვრთნელები. შეხვედრაზე მწვრთნელებმა ილაპარაკეს სპორტსმენთა მომავალი თაობის შწადების გეგმებზე. სპორტსახკომის ხელმძღვანელებმა წარმატება უსურვეს მოზარდ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელ-მასწავლებლებს.

გუშინ თბილისის ზღვის მიდამოებში გაიმართა თბილის-ქალაქობისადმი მიძღვნილი მასობრივი კროსები რამდენიმე ასეული მორბენლის მონაწილეობით. ღონისძიება, რომელიც სპორტსახკომის ინიციატივით „სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ მოაწყო, კარგად იყო ორგანიზებული.

საქართველოს წლევენდელი სტუდენტური თამაშები თბილისში გამჭრთული წყალბურთული ახარეზობით დაიწყო. პირველობისთვის ბრძოლაში ჩაება 8 გუნდი. გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომლებმაც 11:10 სძლიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს. საქართველოს ფეხბურთის ინსტიტუტის კოლექტივი მესამე ადგილზე გავიდა.

ბათუმში დაიწყო ვეტერან ჩოგბურთელთა სკაუტრო პირველობა. აქ ჩამოვიდნენ წარსულში უძლიერესი სპორტსმენები მსოფლიოდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ვილნიუსიდან, ტალინიდან, ტაშკენტიდან, დნეპროპეტროვსკიდან, გორკიდან... თბილისიდან შეჯიბრებაში ნინო თუხარელი და ლეონარდ მემპარიაშვილი მონაწილეობენ.

რამდენი ბიჭია გზაზე დასაყენებელი

დღეს ვის გააკვირვებს ჯამბაზობა და მუშაობა, ვის არ უნახავს ბაგირზე არჩენილ მოსიერ ნე ცირკის მსახიობები, მაგრამ რამაზ გარშაულშვილმა, რომელსაც დღეს თბილისიდან ვიხილავთ, ყველა გაგვაოცა.

ამ შეიღობილი თვის წინ ახმეტის რაიონის სოფელ მატნის I საშუალო სკოლის მეთაურსაქალაქში თოკი წაიღო, გაჰიმა, შებტა და...

თვალახეული, გნებავთ სკამზე, ველოსიპედის თვალზე თუ ვარცხლზე „ამხედრებული“ ისე მარჯველ მიმოდის ბაგირზე, რომ უკვე ცირკში ეპატეობიან.

მერე იოგებზე ლაპარაკს მოჰქარა ყური. ესეც უნდა ვცადოო, გადაწყვიტა. დატენა ბოთლები და მშვილად წამოწვა მინის ნამსხვრევებზე.

გონება, თუ გვერა რომ კანი არ გაგვეკრება, ვაკეთებ კიდევაც, გვიბტიციებს. ასეა, ნიჭი დაპყვა და სხვახაირად როგორ აჯვისხნას „დანის პირსა“ და „ბეწვის



ვარლამ გენგიურის ფოტო.

ხილზე“ სიარულის საიდუმლო, მაგრამ ყველაზე მთავარს ჩვენ თვითონ ვხვდებით: შიში ამოვიღო გულიდან, ბევრი იწვალა და შეუძლებელი შეძლო. მერე ამ მარ-

თლაც ზოპარის გმირივით მარჯვე და მოხერხებულ ყმაწვილს ყურადღება მიაქციეს და მის ნიჭსაც გზა მიეცა. მატნელი მოსწავლე ქვეყანამ გაიცნო, მისი ბედი დღეს ბევრს აღელვებს. ახლა თვითონ იცის როგორ იაროს ამ გზაზე.

ბევრი რამ არის ჩვენთვის საყურადღებო ამ ბიჭის თავგადასავალში. განა ყველას ასე გაუღობებს ბედი, რამდენი ცქვიტი და მოხერხებულო ბიჭია გზაზე დასაყენებელი. ყველას რომ რამაზისნაირი ნებისყოფა ჰქონდეს, ან ნიჭის (ცხადია, სპორტულს ვგულისხმობთ) სრულად გამოვლენის საშუალება... ჩვენც ავდგებით და, იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ჰქონდათ თუ ბურთობა სხვებზე უკეთ ეხერხებოდა და არც ხელმეწყობა აკლიათ, რამაზ გარშაულშვილზე მივუთითებთ. დასახული მიზნისაკენ ჯიუტად სწრაფვა — აი, ამ ბიჭის ყველაზე დიდი ნიჭი.

„ნინსკლის“ პრიზზე

თბილისის საქართველო კლუბი „გამსვლელ პაიკში“ დამთავრდა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება რაიონულ გაზეთ „ნინსკლის“ პრიზზე, ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგ-მასწავლებლები, წრიული სისტემით ჩატარდა.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ბროლის თასი დაისაკუთრა ქალაქ თერჯოლის პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა თათარ შევილაძემ, II ადგილზე გავიდა ბარდუხის საშუალო სკოლის წარმომადგენელი ვლასი ბარდუხიძე, მესამე ადგილი წილად ხვდა ღვანკითის საშუალო სკოლის პედაგოგს ნოდარ ხაჭაპურიძეს. გამარჯვებულებს გადაეცათ გაზეთ „ნინსკლის“, სახალხო ვანათლების

განყოფილებისა და სპორტკომიტეტის დიპლომები.

ქალთა შორის სპორტი ადგილები დაიკავეს რუფოთის საშუალო სკოლის პედაგოგმა ვ. მაქავარიანმა, ნ. წერეთელმა და ზენდა სიმონეთის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ბ. არველაძემ. ისინი შესაბამისი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

შეჯიბრებას სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსახვი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში ნუგზარ ქანტურიძე.

მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება გაზეთ „ნინსკლის“ პრიზზე ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება.

ვანო კუბლაძე,
„ლელოს“ კორ.
თერჯოლა.

აგას მეთოდისტაგავ აგოგავ

როგო გულისხმობავს გპრნავს

წალტუბო საოცარი კურორტია. ეს ის ადგილია, საიდანაც ადამიანები გაჯანსაღებულნი ბრუნდებიან შინ. მე მინდა ჩემს აბაზანის მაღალკვალიფიციურ, საქმისადმი თავდადებულ მუშაკებზე, სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტებზე თამარ ჯანელიძესა და დანიელ დავითაშვილზე გითხრათ ორიოდე სიტყვა.

გაზეთადებულად ნუ ჩამოართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ასეთი ფუნქციონირი ადამიანების მეთვალყურეობით წყალტუბოს სამკურნალო ძალა კიდევ უფრო იზრდება. მდიდარი გამოცდილების მქონე მეთოდისტები ვფიქტურად ატარებენ მკურნალობის პროცესს, გუ-

ლისხმობიერად ეპყრობიან დამსვენებლებს. ვინ იცის, რამდენი მალაობა და კეთილი სიტყვა თქმულა ამ ადამიანების მისამართით, რამდენ პაციენტს დაუტოვებია სამადლობელო წერილი. „ისინი არა მარტო ადამიანის სხეულს, არამედ მის სულსაც მკურნალობენ“ — ვითხოვლობთ ერთერთ მათგანში. კარგი იქნება, თუ თამარ ჯანელიძისა და დანიელ დავითაშვილის მკურნალობის მეთოდს სხვა კურორტების სპეციალისტებიც გაეცნობიან: დარწმუნებული ვარ, ეს მათ დიდ სარგებლობას მოუტანს.

ალექსი ახიგვანი,
დიდი ხამულა ომის მონაწილე.
ოდესა.



პირველი სპორტული გემოსა

როგორც იცით, მასწავლელთა ხაკავშირო სპარტაკილა მომავალ წელს უნდა ჩატარდეს და, რაღა თქმა უნდა, გუნდები სპორტის ყველა სახეობაში აქედანვე იჭერენ თაღარებს.

ჩვენი რესპუბლიკის მასწავლელთა კალათბურთელთა ნაკრები გუნდისთვის სოჭში 14-დან 20 ოქტომბრამდე ჩატარებულ საკავშირო ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობა მზადების სწორედ ერთ-ერთი ეტაპი იყო. პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს საქართველოს, რსფსრ-ის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და სოჭის კოლექტივები.

საინტერესოა, რომ ლიტველი და ესტონელი კალათბურთელები, მოსწავლელთა მომავალ სპარტაკილაში სწორედ ჩვენი მეტოქეები იქნებიან, ხოლო რსფსრ-ისა და ლატვიის ნაკრები კოლექტივები, მართალია, სხვადასხვა ქვეყანებში იასპარებ-

ბენ, მაგრამ სპარტაკილის ფავორიტებს განეკუთვნებიან, ამდენად ჩვენი ბიჭებისათვის ამ შეჯიბრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოს მოსწავლელთა ნაკრების (უფროსი მწვრთნელი ვაჟა ჰუჯასელი, მწვრთნელები ჯამლუტ ხუბაშვილი და ავთანდილ ჩხიკვაძე) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დამაჯერებლად ჩატარა ყველა შეხვედრა, განსაკუთრებით კი ბოლო, გადაწყვეტი რუსეთის ნაკრებთან და I ადგილი დაიკავა.

პირველი მატჩში ჩვენი მეტოქე ლატვიის გუნდი იყო. ეს შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 69:51. შემდეგ საქართველოს ნაკრებმა სოჭის

ნაკრები დაამარცხა 63:43. ესტონეთის გუნდთან თამაში დამთავრდა ანგარიშით 72:60, ხოლო ლიტვის ნაკრებთან — 65:61.

ბოლო დღისათვის პირველობის შენს ინარჩუნებდა ასპარეზობის მასპინძელი რსფსრ-ის ნაკრებიც, თუმცა ამისათვის მას უნდა დემარცხებინა ჩვენი გუნდი, სულ ცოტა, 10 ქულის სხვაობით.

გადაწყვეტი მატჩი მართლაც საინტერესოდ წარიმართა. პირველ წუთებზე რუსეთის ნაკრებმა 4-ქულიან უპირატესობას მიადგინა, თუმცა ტაიმი წაგო 14 ქულით — 36:50. შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს მატჩის ბედნიერად გადაწყვეტილი იყო. მაგრამ II ტაიმში სიტუაცია შეიცვალა და თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა — 72:72. ეს იყო და ეს. მეტოქემ მეტი ვერაფერი მოუხერხა ქართველ მოსწავლეებს. დარჩენილ წუთებში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და მატჩი მოვიგეთ — 91:80.

ეს იყო პირველი ოფიციალური გამოსვლა ჩვენი ნაკრებისა და ამდენად ორბიად სასიხარულო წარმატება, რომელშიც ჩვენი გუნდის ყველა წევრის წვლილია შეტანილი.

ჯამალ ხუბაშვილი.



სურათზე: სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): დავით კორძაძე, კობა ხაიაური, ვიორგი კობალიძე-ვილი, კახა შენგელია, აჩიკო ხეღაშვილი, ლაშა ვაშაძე; დგანან — ვიორგი იაქაშვილი, მიხეილ ნიკურაძე, ვაჟა გვარამია; მწვრთნელები: ჯამლუტ ხუბაშვილი, ვაჟა ჰუჯასელი (უფროსი მწვრთნელი), მწვრთნელი ავთანდილ ჩხიკვაძე, ვიორგი ხვანაძე, ლევან დავითაია.

წარსულის სურათი

...ორთაქალისაკენ მიმავალ ქიდაობის ტრფილ ქალაქლებს აედევნა ნუგზარი. გზაზე დამდგარი დიდი და პატარა ქიდაობები ლაბარაკობდა. — ბიჭებო! (ყველა კროლათავალებიანი ტანსრული ქაბუტისკენ მიიხებდა):

- ამბობენ, დღეს ვერელი გავა იჭიდავებსო...
- დიღმელი შოლტა დათა და მცხეთელი მგელაკია ზვიადურნიც გამოვლენო სასპარეზოდ — გაისმა აქეთ-იქედან.
- ბიჭო რა იქნება?! — აღმოხდა სიხარულით თვალგაბრწყინებულ გოგაბას, — დაბალ ჩოფურა ბიჭი.
- ვიშ, გენაცვა!..
- პა-პა-პა, რა სანახაობა გველის, ხალხო?! — ახლა უქნიდან მოესმა ხმა ნუგზარს.
- ქალაქელთა აღტაცებულმა შებახილებმა ცოტა არ იყოს, გუნება გაუფუტა ნუგზარს, რაღა მინცდამინც დღეს მოუწოდათ ამ საყვეყნოდ სახელგანთქმულ ფალავებს ჩვენთან ჩამოსვლა — სად იყვნენ აქამდე?...
- ნუგზარმა კარგად იცოდა, რომ იმდღევანდელ ამბავს იმავე საღამოს მოუტანდნენ გულანოს — ნუგზარის ოცნებასა და გულანოს. არადა, ვაქაც სპიდაო მოედანზე თუ არა, მაშ სად შედლო თავის გამოჩენა?! მაგრამ ახლა ამა, რა ეშის და სილამაზე იქნება საქვეყნოდ ცნობილი ფალავების გვერდით მის ქიდაობას?
- თითქოს საკუთარი ძალების რწმენა დაეკარგა.
- ნუგზარმა თავისდაუნებურად დიდი ქიდაობის „მომლოდნე ორთაქალის ქუჩაბანდებში ამოჰყო თავი.
- სპიდაო ასპარეზი ძველი ეკლესიის მახლობლად, ვეება ასწლოვანი ხის ქვეშ მოეწყობა. პატარა ბიჭები, ზურნის ქვეტიტის მათთვის ქიდაობის სადგომად რომ აეშალა, იქვე მწვანე მოლზე ებლათუნებოდნენ ერთმანეთს, უფრო მობრდილებს უკვე წინა რიგებში დაეკავებინათ ადგილები. ძელ-საკამებზე ჩამოსხარა მხოლოდ „დაბნობის“ რაობად მასალათობდნენ. — გარდასულ დღებს, წარსულის სახელგანთქმულ

ფალავანთა შერკინებებს იგონებდნენ, ზოგს ადიდებდნენ, ზოგსაც... მათ თვალში შისციციებდნენ საულეშეშეშინებული ბიჭები. ცოტა მოშორებით უბნების ტალიკალია ბიჭებს მოეყარათ თავი. სეირის საყურებლად მათთან მიახლოებასაც კი ვერ ბედავდნენ. მხოლოდ შორიდან უთვალთვალდნენ კუნთმავარ ფალავებს და მკლავის ძალასა და ქიდაობის ხერხებს უქებდნენ. ფალავებთან გასაუბრება მოხუცებს და მათ ნაცნობ-მეგობრებს თუ შეეძლოთ.

თბილისში ქართულ ქიდაობას დიდ პატივს სცემდნენ. ქართველ კაცს ქიდაობა შთამბავლობის აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად გავხდა, რომ იტყვიან, აკენიდან ასწავლიდა და აჩვენებდა თავის ძეს რთულ ფანდებს და ილუთებს: მოგვერდსა თუ შუაკურს, ცერულს, კისრულს.

ამ ერთგული სპორტის სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ სიბერის კართან მიახლოებულ ერთ ქართველს ანდერძად დაუგდია: როცა მოგვედ, ტირილი არ იყოს, ჩემს აფლავთან ერთი ჯიჯიანი საუბრო დაუკაროთ, ის თბილისური ჰანგი, ყველა ხმაზე მეტად რომ მომესალმებუნება ამ ქვეყნიდან მიმავალსო.

ზრდებდნენ, იწითებოდნენ, ვაქაც დებოდნენ ჩვენი ბუნა ბიჭები, მკლავმავარი, მკერდსივრი ფალავები...

მაშინდა და პაპების, პაპის პაპების დიდებულ ტრადიციებზე აღზრდილმა ამ ახალგაზრდებმა თავიანთი ქვეყნის სახელი შორს გაიტანეს.

...ზურნის ხმაზე თანდათან ეშში შედიოდნენ ფალავებიც და მოსერიენიც. სპიდაოს მიზანიც ხომ ესაა: შესარკინებლად წინასწარ კარგად დამუხტოს მოქიდავე, საბოლოოვლად მომართოს იგი, სისხლი აუჩქაროს...

მესაკარგენი მონღომებით ბერავ-

დნენ ზურნა-დუღუქის ყაბიშებს. პირით ხან ერთ მხარეს გადაიტანდნენ, ხან მეორეზე. მედლოვც მეჯითად ურტყამდა გულდაგულ ბოჭიმულ დიღობზე. იტყობოდა ბევრი მემოციკეთა საცქერლად და მისასმენად მოსულიყო.

როგორც წესი და რიგია, წრეში ჯერ პირტყველა ბიჭები გადავრდნენ, მათ ჰაბუტები მიჰყვნენ. ბოლოს მოედანი შეღერებულ ვაჟაკებებს დარჩათ.

გამრიგებმა მალე ნუგზარსაც მოაქითხეს, ერთთავად ფალავანთა მახლობლად რომ დაწვრილებდნენ: — ისინელ მიხას უნდა დაქვილი! — მიხას?... — მართალია, შენზე ასოციოდე ვირვანქით მეტი იქნება, მაგრამ...

კვლავ ახმინდნენ დუღუქები. ნუგზარი ნახერხს დასწვდა. პეშვით აიღო, ხელში მოიფშვნა და წელში ამაყად გაიმარჯა.

მსაჯმა მეტოქეებს რიგრიგობით აუწია მარჯენა, შემდეგ ომბინანი ხმით გააცნო ისინი დამსწრე საზოგადოებას და ქიდაობის დაწყების ნიშანი მისცა, თან მესაკრავეთ სიტყვა მიუგდო: — შენ დაუკარ!

მომობიარი სახეებით მიუახლოვდნენ მეტოქენი ერთმანეთს. თავანინი მისალმების მერე სწრაფად შემობრუნდნენ და ერთმანეთს ეტყვიანენ.

მძლავრად დაქანა ისნელმა ნუგზარი, ცერულით გაეთამაშა, მუნ-

მოღებოდა, ნუგზარმა მალულად ქვეშევშევშ გახედა ხალხს და... პოი საოცრებავი... „მელანო!.. როდის მოვიდა, რატომ ვერ შევემჩინე აქამდე...“

გულისწილმა, მეგობრებთან ერთად მწყერივით რომ შეუყუქულიყო ხის ქვეშ, თავალი ვერ გაუსწრო ვაქაც და მორცხვად დახარა თავი. ციხისუნებულმა ფალავანმა ერთხელ კიდევ შეავლო მზერა სატრფოს და მეტოქის შესახებ დადიდა.

„უნდა გაეიშარავო, წმინდად უნდა მოვიგო, მორჩა და გათავდა!“ — ფიქრობდა იგი.

მიხა ვაგეშუმული წამოვიდა, თან რალაცას ბურტყუნებდა. მეტოქემ უგანა. კიდევ უფრო გ-

ციხისუნებელი ფალავანი

შენ ხომ ციხისუნელი ხარ... ნუგზარმა შორს დაიპირა: აქ განა სპიდაოდ მოვსულვარ, ისე სხვათა-შორის გეახელით, თვალს წყალი მინდა დავადვივისო.

მაგრამ ვინ დაუჭერა: — ბიჭო, რა თავს იღებ, აღქ და გადადი!..

სპიდაო ჩოხა მოუტანეს და ფხებთან დაუდგეს. ეს უკვე გამოწვევას ნიშნავდა და ნუგზარსაც თვაპატყი აღარ გაუდგია. — სახელდახელიად გადაიძრო სამოსი და ჩოხაში გამოეწყო.

— ფრთხილად იყავ, თავის ფანდზე არ წამოგავსო, ეტყობა ეშმაკია — ყურში ჩასწურჩულა გელა ბიჭმა, ორთაქალულ ფალავანთა ნახერხის მოედნის მუღმემა მასპინძელმა. მას ხომ ნუგზარის მეგობრობით მოსწონდა თავი.

— აბა, შენ იცი, არ შეგვარტყვი-ნო! — შეავლიანეს ნუგზარი სხვებმაც.

...გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, მაგრამ ცდილობდა მდგომარეობა დაეცხრო. ქომაგებს გაუღიმა და მეტოქისკენ გააპარა თვალი, სპიდაო მოედანზე ჩაცქეწული რომ ეილოდა, ლურბა ბიჭი ჩანდა. მერე ირგვლივ მიმოხედა, ერთხელ კიდევ შეისწორა სარტყელი, მსუბუქად გადაეყვლო ასპარეზს შემოვლებულ ბაწარს და წრეში შევიდა.

თის ძალა მოუსინჯა, პაერში აიტაცა.

„იტყობა, ღონის იმედი აქვს, ხერხი მანცდამინც არ უნდა მოსდევდეს...“ — გაიფიქრა ნუგზარმა, — თორემ ჩემს უკუგდებას შეეცდებოდა.“

ერთხანს ხელში ატაცებულ იქცა მეტოქეს, მერე ნუგზარი ხელიდან დაუძვრა, შუაკური ამოსლო ისნელს და ცხვირით ნახერხს ახვევინა.

მუნდადებულ მიხას ფხზე წამოგდამა აცალა ციხისუნელმა ფალავანმა, შემდეგ ცრომობრობით წელში შეუვარდა და გარესართით წამოიღო, მაგრამ ველარ გადმოიტანა. ისევ პაერში აიტაცა იგი მიხას.

„თუ არა ხერხით, ამისთან ძალით გერაფერ გახვლები“, — გაუღვრა ნუგზარს. იმ ისნელის დაკუნთული მკლავებისგან, მარწუხივით, რომ უქერდნენ, დახსნას ცდილობდა.

ნუგზარმა მარჯვენა ფხი ძალუმად დაქანა და იმდენი ქანა, ნახერხზე მყარად დადგა, შემდეგ უმაღლეს გაჩქარებად მოსლო და მარჯვნიდან თეძო შეუგდო ისნელს, მერე აპკრა და ტომარასავით ისროლა სარბიელზე.

ხალხს აფუგუნდა. მოწონების შემახილები გაისმა. სანამ ნიწმინდარი ისნელი წა-

ხელდა ისნელი და ჯიქურ ვაიწია მისკენ.

ნუგზარი უცებ მოუტრიალდა და თვალის დახამამებამში მკერდზე ჯვარედინად ჩაავლო ხელები ჩოხაში, შემდეგ ეკვლის სისწრაფით ჩიურჩიქა, მსწრაფლ შემოუტრიალა მკლავები, მძლავრად მოქანა ისნელს ზედ წამოიკიბებოდა მეტოქე, დაიქნია და კისრულით წამოიღო. ისნელი გონს ვერ შეკრავდა, იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის ნუგზარის ფანდი. გაძალიანდა, ფეხს ითრევდა, მაგრამ უკვე გვი-დაც იყო. — ფხებქვეშ მიწა გამოეცალა და პაერში აფართხლდა. მერე მთელი ტანით მოხაზა რკალი და ზურგიით მიწას დასაკლ.

უცებ შეწყდა მუსიკა.

ალტაცების შემახილები გაისმა. — რა ქანა, კაცო?! — შენს მარჯვენას ვენაცვალე, ბიჭო!

— გვასახელო, ციხისუნებელი გვასახელო!..

ნუგზარი დინჯად წამოიმართა, მარჯვენით ჩამოწეული გრუხა თმა შუბლზე გადაიწია, სამოლოდ ნაბიჭი გადადგა და თავდახრილმა მე-ზურნეების წინ ჩაიჩოქა მსაჯთა გადაწყვეტილების მოლოდინში...

სულიკო ძინიაძე.

ბურნიკის პიო

საქართველო გდიდარია საქადრაკო ტალანტებით

ქალთა მომავალ საქადრაკო ოლიმპიადზე, რომელიც ნოემბერში გაიმართება, სსრ კავშირის ნაკრები გუნდი წარმოდგენილი იქნება საქართველოს სპორტსმენებით. გუნდის განაცხადში არიან მსოფლიოს ოთხჯერ ჩემპიონი მიაა ჩიბურდანიძე, ელენე ახმელოვსკაია, მსოფლიოს ექვსჯერ ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და ნანა აღიქსანდრა.

© ხალ და როგორ მოემზადება ნაკრები?

— ამ დღეებში წყალტუბოში ჩავალი, გავმართავთ ორკვირიან სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას. შემდეგ გავემზადებთ არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში, სადაც გაიმართება ქალთა ოლიმპიადი. წყალტუბოში თეორიულ მომზადებასთან ერთად დავადგენთ გუნდის ტაქტიკურ გეგმებსაც. ამასთან, ჩიბურდანიძე და ახმელოვსკაია შეძლებენ დაისვენონ და აღიდგინონ ძალები მსოფლიო პირველობაზე გამართული მძიმე მატჩის შემდეგ.

© როგორც სპორტანალიტიკო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი, რას იტყვით მატჩის ორგანიზატორებს?

— ამ მატჩის ორგანიზატორმა შესაბამისად ფიდე-ს ყველა მოთხოვნას. ბულგარეთის დედაქალაქში, სადაც პირველად იმართებოდა ასეთი ღონის მატჩი, იგი ბორჯომში, სადაც ხუთი წლის წინათ უკვე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი, მონაწილეებს, მათ სეკუნდენტებს, ჟურნალისტებსა და მასწავლებლებს იდეალური პირობები შეუქმნეს. ბორჯომის ნახევრის ორგანიზატორებმა

გამოიყენეს სასიამოვნო სიახლე. საქართველოში გამართულ საქადრაკო ასპარეზობას პირველად ემსახურებოდა ელექტრონული ტექნიკა, რომელიც დაამონტაჟეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს საინფორმაციო-გამოვლითი ცენტრის სპეციალისტებმა. ამან დიდ შედეგს უზღუდა მუშაობა ბრესცენტრს, შეუქმნა ხელსაყრელი პირობები მონაწილეებსა და მასწავლებლებს. სასურველია მომავალშიც დაიხვეწოს ელექტრონული დეპონსტრირების სისტემა, რაც შეამსუბუქებდა დიდ საერთაშორისო ასპარეზობათა ყველა მასახურის მუშაობას. ასეთი ასპარეზობები კი ხშირად იმართება თქვენს რესპუბლიკაში.

© როგორ აფანებთ დამთავრებული მატჩის სპორტულ და შემოქმედებით მხარეებს?

— ჩიბურდანიძის გამარჯვება კანონზომიერია, მიაა, უდავოდ, მსოფლიოში უძლიერესია, იგი უნივერსალურია საქადრაკო გავებით. ამილოვსკაიამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და მსოფლიო ჩემპიონობის ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მატჩი საინტერესო გამოდგება. მეტოქეებმა უჩვენეს მაღალი კლასის ჭადრაკი. ცალკეულმა პარტებმა კი, უმეტესად, ნამდვილი სიამოვნება მიანიჭეს გულშემოტყვიერებს.

© თითქმის მეოთხედი საუკუნეა ქართველი მოჭადრაკე ქალე



ბორჯომი. პრესცენტრი. თამაშობენ რიმა ბილუნვა და ფლორენსიო კამპომანესი.

ბი არავის უთმობენ ჩემპიონის გვირგვინს. თქვენი აზრით, ვინ და როდის შეძლებს მეტოქეობა გაუწიოს მათ?

— ვფიქრობ, რომ კიდევ დიდხანს არ დამთმობენ თქვენი მოჭადრაკეები ჩემპიონის გვირგვინს. მიაა თავისი საქადრაკო ნიჭის გაფურჩქვნის ხანაშია, ნიადაგ ხევის თამაშის სტილს, მის გარდა ხომ გყავთ კიდევ ვაფრინდაშვილი, აღიქსანდრა, ზოსელიანი, გურიელი და ახმელოვსკაია, რომელიც ახლა თქვენი რესპუბლიკის სახელით ასპარეზობს. არის ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეების მთელი თაობა. შეუძლებელია არ იამაყო ასეთი მემკვიდრეობითობით. ყოველივე ეს მოქმობს, რომ საქართველოში პოპულარულია ჭადრაკი, სადაც დამოკიდებულება ქალთა ჭადრაკის მი-

მართ ნამდვილად ჩაინდული, მზრუნველი და ვიტყობი, სათუთიდა. თქვენი რესპუბლიკის მაგალითი მისაბაძია.

© დავუბრუნდეთ მომავალ ოლიმპიადას...

— უკანასკნელ ხანს მოჭადრაკე ქალებმა მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს. ამაში დავუბრუნდეთ წინა ოლიმპიადამდე. ახლა კი მოგვიწევს გავუძლიოთ უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდების ძლიერ კონკურენციას. მაგრამ ჩვენს წინაშე, ისევე როგორც წინათ, ერთადერთი მიზანია დასახული — შინ გამარჯვებით დავბრუნდეთ.

შ. შალოლაშვილი, (საინფორმაციო კორ.)

პრეზიდენტის პრესკონფერენცია



შენხუართის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ბრაზილიელი ჟოაო აველანჟი და ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი, შვეიცარიელი იოზეფ ბლატერი ამ დღეებში მოსკოვში იმყოფებოდნენ, აქ მოეწყო მათი გასაუბრება საბჭოთა ჟურნალისტებთან.

ქ. აველანჟმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატმა, რომელიც მექსიკაში ჩატარდა, ძირითად დაკმაყოფილებულად აღიქვა. მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ამიტომ შეხუართის საერთაშორისო ფედერაციის განზრახული აქვს უახლოეს პერიოდში ანალოგიური ფორმული ჩაატაროს მსოფლიო ჩემპიონატები, თუმცა სხვადასხვა ქვეყნებში შემოვიდა ოპტიმალური ხასიათის რეკონსტრუქციული წინადადებებიც, რომლებსაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია კულისანაშთი შეისწავლის.

რაც შეეხება მსაჯობის პრობლემას, იგი მუდამ იყო, არის და იქნება ფეხბურთში. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მთელი მსოფლიოდან მიიწვიეს საუკეთესოთა საუკეთესოები და, მინც, განსხვავება მსაჯო ცოდნასა და უნაბრუნში, საერთო კვალიფიკაციაში იჭრებოდა. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის არბიტრაჟ საშუალო შე-

ფასება საკმაოდ მაღალი იყო — 8,2 ათბალიანი სისტემით.

ქ. აველანჟმა ილაპარაკა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრების მონაწილეობაზე: — სსრ კავშირისა და ბელგიის ნაკრებთა შეხვედრის შემდეგ მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს მათ, ვისაც მიაჩნდა, რომ საბჭოთა გუნდის კარში ორი ბურთი თამაშობდა მდგომარეობიდან გაიტანეს, შემდგომში კი ისე მოხდა, რომ ბელგიელები საუკეთესო ოთხეულში მოხვდნენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბჭოთა ნაკრებს მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, იგი სრული უფლებით მოხვდებოდა საუკეთესო ოთხეულში. განსაკუთრებით დაგვაამსოვრდა მისი შეხვედრა უნგრეთის ფეხბურთელებთან. მე 1950 წლის შემდეგ ყველა მსოფლიო ჩემპიონატს ღავესწარი და შემდგომი დაგვიდასტურებდა, რომ საბჭოთა ნაკრები, რომელიც ასეა მონაწილეობდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების მხრივ საუკეთესო იყო თავის წინამორბედებთან შედარებით.

ქ. აველანჟმა და ი. ბლატერმა ახლანდელი მსოფლიო ფეხბურთის განვითარებიდან აღნიშნეს 3 უმთავრესი ტენდენცია: მოთამაშეთა საგრძობი მრავალმხრივობა, უშუალოდ ფეხბურთელთა და თვის თამაშის სისწრაფის ზრდა და 3 თავდამსხმელის ტაქტიკური სტილი თამაში.

პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია მომავალ, 1987 წელს ჩატარებს მსოფლიო პირველობას 16 წლამდე ჰაბუთა შორის, აგრეთვე, 20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს, ორივე შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 16-16 გუნდი. გარდა ამისა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია თავის უმთავრეს ამოცანად კვლავ ისახავს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან და ფეხბურთის ფედერაციებთან კონტაქტების განვითარებას.

ვეოკრე აღბილზე

ამბს წინათ ზღვისპირა ქალაქ ანაპაში გაიმართა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური ბაზუს პირველობა 1968-69 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ის, უკრაინის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ქ.ქ. ორჯონიკიძის, ყირგიზისა და პეტროზავოდსკის, აგრეთვე, თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდები.

თბილისელმა ფეხბურთელებმა თავიანთ ქვეგუფში დაამარტეს აზერბაიჯანის (2:1), ორჯონიკიძის (2:0), პეტროზავოდსკის (2:1) გუნდები, ხოლო უკრაინელებთან ფრედ დამთავრეს თამაში — 2:2.

პარალელურ ქვეგუფში გამარჯვება მოიპოვა რსფსრ-ის ნაკრებმა, რომელიც ფინალში შეხვედა თბილისის გუნდს. მატჩის ძირითადი

და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 0:0. დამატებითი პენალტები უკეთ შეასრულეს რსფსრ-ის ფეხბურთელებმა, პირველად იგლიტ მათ ზვადთ წილად. თბილისის გუნდი მეორე საპროზო ადგილზე გავიდა.

ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი დაიმსახურა თბილისელმა პაატა ლომიძემ. სპორტსაზოგადოების საკავშირო ნაკრებში მოხვდნენ პ. ლომიძე, ზ. დლონტი და მ. მანაიძე. მათ გარდა აღსანიშნავია ჯამიაშვილი, ცაგარეიშვილის, სალდამისა და ბერიაშვილის კარგი თამაში. ჩვენს გუნდს ტურნირისთვის ამაზღებდნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ელოშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. ჩარკიანი და ე. სილაგავა.

კვბარანავის მსოფლიო ჩემპიონატი

იმ ხანალებს შორის, რომლებსაც ამ უკანასკნელ წლებში ფიფა-მ ჩაუყარა საფუძველი, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი — ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრების პირობები ასეთია: მასში მონაწილეობენ ის ფეხბურთელები, რომლებიც 34 წელზე უფრო ხნიერნი არიან და თანაც მხოლოდ იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ორჯერ მაინც იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები (ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, იტალია, გერ.).

პირველი ასეთი ჩემპიონატი იანვარში, ბრაზილიაში ჩატარდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ 46 წლის პეღე (ბრაზილია), აღბერტოზი, ფაკიტი, ანასტაზი (იტალია), ფილოლი, კემპესი (არგენტინა), ბეგენაბუერი, გ. მიულერი, ბრაიბენერი (გერ.) და სხვა ცნობილი ოსტატები.

1989 წელს ასეთივე შეჯიბრება არგენტინაში მოეწყობა, მომდევნო წლებში კი — გერ-ში, იტალიასა და ურუგვაიში.


ჯანიბსი პიოსკვაა უხბურთის

როგორც ბელფასტში გამოცხადდა, ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ცნობილი მეკარე, 40 წლის პატ ჯენინგსი საბოლოოდ ეთხოვება ფეხბურთს. ჯენინგსი, როგორც ცნობილია, ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული 119 მატჩით, ინარჩუნებს პირველობას მსოფლიოში ამ მაჩვენებლის მფხედვით.

3 დეკემბერს ბელფასტში უნდა ჩატარდეს სახელოვანი მეკარის გამო-სათხოვარი მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები და ესპანეთის „ბარსელონა“.

„ლივერპულის“ რეკორდი — იან რაზს

ცნობილი თავდამსხმელი იენ რაზი სათავეში მოექცა „ლივერპულის“ ხნაიერთა მუდმივ სიახს. აქამდე ამ ხიაში ლიდერობდა კენი დაღლიში (115 გოლი). ამაჟამად რაზს უკვე 116 ბურთი აქვს გატანილი.



უმაღლასი ლიგა

უმალღესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 29-ე ტურში 16 ნოემბერს ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ალმა-ათის „ქაირათი“ და დონეცის „შახტიორი“. ეს მატჩი გადმოიტანეს 24 ოქტომბრისთვის. გაიმარჯვა „ქაირათმა“ — 2:0.

უაჟა-ს თასზე

შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში შედგა უაჟა-ს თასის მეთექვსმეტე ფინალის პირველი მატჩი ადგილობრივი „გლაზგო რინჯერსისა“ და პორტუგალიის „ბოავიშტას“ ფეხბურთელთა შორის. გაიმარჯვა „გლაზგო რინჯერსმა“ — 2:1.

სამხრეთ ამერიკაში..

შედგა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური მატჩი ფეხბურთში კოლუმბიის „ამერიკასა“ (ქ. კალი) და არგენტინის „რივერ პლეიტს“ (ბუენოს-აირესი) შორის. გაიმარჯვეს არგენტინელებმა — 2:1.

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის მეორე ფინალური მატჩი გაიმართება ბუენოს-აირესში.



პაკიოსპალი — გავითი

პაკიოსპალი რედაქცია! გთხოვთ მიპასუხოთ კითხვებზე: მონაწილეობდა თუ არა დიეგო მარადონა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში და რამდენჯერ იყო იგი მსოფლიო ჩემპიონი.

ანჯორ ბენიკა.
ჭუთაისი.
დიეგო მარადონა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში არ მონაწილეობდა. იგი ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი — 1986 წელს, მექსიკაში.

სსრ კავშირის ჩაფიქრება სპორტში



ორი ლიდერი

მოსკოში. განახლდა უმაღლესი... ლიდერებმა პირველი მატჩები წა...

ქულა აიღო: ტირასპოლის გუნდს... ზაბოროვიჩის ზიმი მოუგო 21:20...

სხვა შეხვედრები ასე დაშთავრდა: „პოლიტი“ (ნელაბინსკი) — „დინამო“ (ასტრახანი) 25:24...



დღეს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ეწყობა განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულისადმი მიძღვნილი საცხენოსნო ხორტული წე...

სსრ კავშირის ჩაფიქრება ჩაფიქრები

ბუნდოვანი ტური

ფრანკმა, 25 ოქტომბერი (დუბეშვილი, „ლელო“). სპეციალური კორესპონდენტი. მოჭარბა ქალაქი...

ფირკები აპტირება

კანადის მთავრობამ ალბერტას პროვინციის თვითმმართველობას...

მსოფლიო ჩაფიქრება კლასიკარ ჟილაოვას

ბუდაპეშტი. კლასიკურ ჟილაოვასში მსოფლიო ჩაფიქრების მონაწილენი...

საფიქრი ფინალი

რედაქტორის მოადგილე თ. ბაჩვილიძე. მას დარჩა გადამწყვეტი ბრძოლა ფინელ ტაბო...

პირადა და პირადი

მინი-ბურთი. რიბნული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტოტოს“ ტიპი — 10.20 (1); საერთაშორისო ტურნირი...

ფეხბურთის ზღაპრული რაინდი

მინი სპორტული კარიერა 35 წელიწადს გაგრძელდა. დიდ ფეხბურთის საბოლოოდ რომ გამოეთხოვა 50 წლისა იყო!

„თაროს ბურთის“ ლაურეატები



ტეტის შესაფერისი სანახაობა შესთავაზეს. შეხვედრა დამთავრდა მსოფლიოს ნაკრების გამარჯვებით — 6:4.

მსოფლიო ჩაფიქრება კლასიკარ ჟილაოვას

ბუდაპეშტი. კლასიკურ ჟილაოვასში მსოფლიო ჩაფიქრების მონაწილენი საფინალში სწორზე გავიდნენ...

პირადა და პირადი

მინი-ბურთი. რიბნული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტოტოს“ ტიპი — 10.20 (1); საერთაშორისო ტურნირი...

ტილბურგის ტურნირზე

მას შემდეგ, რაც პოლანდიის ქალაქ ტილბურგში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეხუთე ტურში...

ჩაფიქრების შედეგები

მინი სპორტული კარიერა 35 წელიწადს გაგრძელდა. დიდ ფეხბურთის საბოლოოდ რომ გამოეთხოვა 50 წლისა იყო!

მსოფლიო ჩაფიქრება კლასიკარ ჟილაოვას

ბუდაპეშტი. კლასიკურ ჟილაოვასში მსოფლიო ჩაფიქრების მონაწილენი საფინალში სწორზე გავიდნენ...

პირადა და პირადი

მინი-ბურთი. რიბნული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტოტოს“ ტიპი — 10.20 (1); საერთაშორისო ტურნირი...

პირადა და პირადი

მინი-ბურთი. რიბნული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტოტოს“ ტიპი — 10.20 (1); საერთაშორისო ტურნირი...